პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2025 წლის _____ ივლისი, ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს N20 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 27/08/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.132.016447) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმა ჩამოყალიბდეს ამ დადგენილებაზე თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დეტალური გეგმით გათვალისწინებული საპროექტო ობიექტების სიმაღლის განსაზღვრა (დაზუსტება) უნდა განხორციელდეს სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ მიერ დასაშვებად მიჩნეული და შეთანხმების დოკუმენტით განსაზღვრული სიმაღლის პარამეტრების შესაბამისად.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

,,ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2025 წლის 09 აპრილს N:142509912-06 განცხადებით მომართა შპს ,,ბათუმი რივიერამ'' (ს/N445534636) და მოითხოვა ქალაქ ბათუმში, ზღვისპირა პარკის ტერიტორია; გოგებაშვილის ქ. N1გ-ში; გოგებაშვილის ქ. N1დ/1ე/ზღვისპირა პარკის ტერიტორია/ნავსაყუდელის ტერიტორიაზე, ბარბიუსის ქ. N6-ში (ს/კ 05.21.20.087, 05.21.20.091, 05.21.20.056, 05.21.20.076, 05.21.20.093, 05.21.01.328, 05.21.01.329, 05. 21.20.092) მდებარე მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილებების შეტანა.

წარმოდგენილი ცვლილების შესაბამისად - მესამე ფაზის სასტუმროს შენობამ შეიცვალა კონფიგურაცია და შენობის მაღლივი ნაწილი მოტრიალდა 90 გრადუსით, რამაც მეტად გახსნა ხედი ზღვისკენ, რუსთაველის ქუჩის მხრიდან. დადაბლდა პირველი ფაზის შერეული ფუნქციის შენობა, რამაც გააფართოვა ხედვის არეალი საზოგადოებრივი პარკიდან ზღვის მიმართულებით. - პარკის აღმოსავლეთ მხარეს მოეწყობა ადგილი საქალაქო ავტობუსების გასაჩერებლად. 5 მაღალსართულიანი კოშკის ნაცვლად აშენდება 3 , მათი განმარტებით კომპლექსის შენობების ამგვარი განაწილება არქიტექტურულ კომპოზიციას უფრო მსუბუქს ხდის და აღსაქმელად მეტად ესტეთიურ სახეს აძლევს.

საპროექტო ტერიტორიაზე ძირითადად მოეწყობა საფეხმავლო და ველოსიპედის ბილიკების ქსელი, რომელიც გამონაკლის შემთხვევაში ასევე შეითავსებს სამაშველო გზის ფუნქციასაც, სახანძრო და სასწრაფო მანქანების მომსახურებისთვის. კონკრეტულ შენობებთან მანქანების მიდგომა ტერიტორიის ირგვლივ არსებული გზიდან მოხდება .

ზღვის სანაპიროს ზედა ზოლი დაუკავშირდება სახელმწიფო პარკს, რაც ბულვარის ზოლს საგრძნობლად გაზრდის. - მშენებლობის პირველივე ფაზაში დაგეგმილია სახელმწიფო პარკის განვითარება, რაც არსებულ ტერიტორიას მალევე შესძენს საზოგადოებრივ კეთილდღეობას - საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა საჯარო სივრცეები, რაც მოსახლეობისთვის და ტურისტებისთვის თავშეყრის ადგილად იქცევა. - ტერიტორიაზე მოეწყობა ხელოვნური წყლის სარკეები (აუზები), რომელთა გაჩენის მიზანია ეკოსისტემის გაძლიერება. - არსებულ კორექტირებაში აღსანიშნავია ლანდშაფტის სტრატეგიული გადაწყვეტა. გამწვანება მოეწყობა არა მხოლოდ სახელწიფი პარკსა და სამშენებლო ტერიტორიაზე , არამედ გაჩნდება ვერტიკალური ბაღები ფასადებსა და ტერასებზეც. პროექტის მიზანია ბათუმში შეიქმნას ყველაზე გამწვანებული გარემო. - კ1 კოეფიციენტი ტერიტორიისთვის მოცემულია 0,7 და მათ მიერ ათვისებულია - 0,5 მდე, რაც საშუალებას აძლევს მეტად გამწვანდეს ტერიტორია და გაჩნდეს მეტი საზოგადოებრივი სივრცე. - მიჯნის ზონისა და ღიობების მოწყობის შეზღუდვა არ მოქმედებს გრგ-ში შემავალი ნაკვეთებისთვის.

განცხადება გადაგზავნილი იყო კანონმდებლობით გათვალისიწნებულ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში, საიდანაც მოვიდა დადებითი რეკომენდაციები.

დეტალური გეგმით გათვალისწინებული საპროექტო ობიექტების სიმაღლის განსაზღვრა (დაზუსტება) უნდა განხორციელდეს სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ მიერ დასაშვებად მიჩნეული და შეთანხმების დოკუმენტით განსაზღვრული სიმაღლის პარამეტრების შესაბამისად.“

,,ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს N20 დადგენილებაში ცვლილების თაობაზე დადგენილების მიღება.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი **გიორგი წანაწყენიშვილი**